Co-funded by the European Union

reDiscover

reDiscover

აღმოაჩინე ტრადიციული ცოდნა ევროპის შემოქმედებით ინდუსტრიებში 2023-2024

`reDiscover` ხორციელდება შემოქმედებითი ევროპის პროგრამის (CREA) მხარდაჭერით
ევროპის ხუთ ქვეყანაში (უნგრეთი, პოლონეთი, სლოვენია, თურქეთი, საქართველო)

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი პროექტ `reDiscover`-ის ფარგლებში საერთაშორისო (მოძრავი) გამოფენისთვის აცხადებს ნამუშევრების შესარჩევ კონკურსს. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ახალგაზრდა (30 წლამდე ასაკის) ხელოვანებს - დიზაინერებს, მხატვრული რეწვის და შემოქმედებითი ინდუსტრიების სფეროს წარმომადგენლებს, რომლებიც ტრადიციულ მეთოდებსა და ტექნიკებზე დაყრდნობით ქმნიან არატრადიციული დიზაინის თანამედროვე დეკორატიული ხელოვნების ნიმუშებს.

გამოფენის მთავარი თემაა: ტრადიციული რეწვის ტექნიკების გამოყენება თანამედროვე დიზაინში.

2024 წელს გამოფენა იმოგზაურებს სლოვენიაში (ქ. კრანი), უნგრეთში (სალფოლდი, ბუდაპეშტი), პოლონეთში (ქ. გდანსკი) და საქართველოში (ქ. თბილისი).

გამოფენისთვის საერთაშორისო ჟიურის მიერ თითო ქვეყნიდან შეირჩევა 6 ნამუშევარი (სულ 30 ნამუშევარი).

2024 წლის ბოლოს სამხატვრო კომიტეტის მიერ გამოვლინდება სამი გამარჯვებული ავტორი:
I პრიზი 1000 €, II პრიზი 500 €, III პრიზი 250 €.

საკონკურსო ნამუშევრები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: შემოქმედებითობა, ინოვაცია, მხატვრული ხარისხი, ტრადიციული ტექნიკების / მეთოდების ახლებური გამოყენება.

კონკურსში მონაწილეობის პირობები:

საკონკურსოდ წარმოდგენილი ნამუშევრები უნდა იყოს ხელნაკეთი, ორიგინალური დიზაინის და ბოლო ორი წლის განმავლობაში შექმნილი. კონკურსი ღიაა ყველა დარგში (ინდუსტრიული დიზაინი, ტექსტილი და მოდა, ლითონი, კერამიკა, სამკაული, მინა, მედია და ანიმაცია, ციფრული ხელოვნება) მომუშავე 30 წლამდე ასაკის ხელოვანებისთვის.

გამოფენის სამოგზაურო ფორმატიდან გამომდინარე სასურველია, რომ საკონკურსოდ წარმოდგენილი ნამუშევრის შერჩევისას გათვალისწინებული იყოს - ზომა/მოცულობა, წონა, მასალა და ღირებულება. ნამუშევრები ავტორებს დაუბრუნდებათ 2024 წლის ბოლოს.

იხ. განაცხადის ფორმა: https://shorturl.at/efhS1

განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა **2023 წლის 30 ნოემბერი.**

Laterna Magica

Muzeum Narodowe w Gdańsku

Carnica institute

KADİR HAS ÜNİVERSİTESİ

GEORGIAN ARTS & CULTURE CENTER GACC ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი

Co-funded by the European Union

reDiscover

შევსებული განაცხადის ფორმა თანდართული საკონკურსოდ წარმოდგენილი ნამუშევრის ფოტოებით და ასევე, ნამუშევრის შესახებ მოკლე აღწერილობით (ინგლისურ ენაზე) უნდა გამოგზავნოთ ელ. ფოსტაზე: gallery@gaccgeorgia.org
(*ფოტოები უნდა იყოს მაღალი გარჩევადობის)

შერჩეულ მონაწილეებს პასუხი ეცნობებათ **2024 წლის 20 იანვრამდე.**

დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:
ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
მისამართი: ნიკო ნიკოლაძის ქ. #7, თბილისი, 0108, საქართველო
ელ.ფოსტა: gallery@gaccgeorgia.org ტელ: (+995 32) 2931 335
საკონტაქტო პირი: თეა გოცირიძე, მობ.: 593 397 153

Laterna Magica

Muzeum Narodowe w Gdańsku

Carnica institute

KADİR HAS ÜNİVERSİTESİ

GEORGIAN ARTS & CULTURE CENTER GACC